ENERGO-PRO GEORGIA

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

დადგენილება #აც-0968-21
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ

29.04.2021წ. ქ. თბილისი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):
ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია;

2. საქმის განხილვის თარიღი: 2021 წლის 29 აპრილი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ტარიელ ხუროშვილი პ/ნ 12001036204 გარდაბანი სოფ.გამარჯვება

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გარდაბნის რაიონ სოფ.გამარჯვებაში აბონენტ ამირან შენგელიძეს (აბ.5510225512), დავალიანების გამო შეუწყდა ელ.ენერგიის მიწოდება. შემოწმებისას 2021 წლის 8 თებერვალს დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა შეწყვეტილი ელ.ენერგიის თვითნებურ აღდგენას. აღნიშნულ ფაქტზე 2021 წლის 14 აპრილს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ას008139 სადაც სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა ტარიელ ხუროშვილი, რომელიც აღიარებს მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. როგორც საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #A739698 შედგენილია 08.02.2021წ, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ას #008139 -14.04.2021 წ. აღნიშნული საქმე კომისიამ განიხილა 29.04.2020წ. კომისიის სხდომას არ დაესწრო ტარიელ ხუროშვილი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; ექსპერტიზის დასკვნა, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი; შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; ა), რომელთა მეშვეობითაც არ დგინდება ტარიელ ხუროშვილის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელექტროენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. ასევე სახეზეა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული გარემოება, რომელიც გამორიცხავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და ასეთ შემთხვევაში (ანუ, სახდელის დადების 2 თვიანი ვადის გასვლის გამო), სამართალდარღვევის საქმისწარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს. ასკ 230-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა და მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით. ვინაიდან შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტი აღმოჩენილია 2021 წლის 8 თებერვალს (აქტის შედგენის თარიღი), ხოლო ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-

ENERGO-PRO GEORGIA

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“
ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველმა კომისიამ, საქმე განიხილა 2021 წლის 29 აპრილს, აქედან გამომდინარე გასულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 228[2]-ე; 232-ე, 236-ე; 264-ე; 266-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10წ. #14 და 18.09.2008წ. #20 დადგენილებებით; ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" გენერალური დირექტორის 16.09.2009წ. # RU2010009 წესით, 23.05.2019წ. #OR2019028 ბრძანებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. **ტარიელ ხუროშვილის** **პ/ნ 12001036204** მიმართ შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, ასკ 232-ე მუხლის მე-7 ნაწილით და ასკ 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სახდელის დადების ორთვიანი ვადის ხანდაზმულობის გამო.
(სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის დასახელება)

7. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებული მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ENERGO-PRO GEORGIA 205163066

ნიკო გოგიტიძე
კომისიის თავმჯდომარე